

საქართველოს პარლამენტის აპარატში სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ეს წესი არეგულირებს საქართველოს პარლამენტის აპარატში სტაჟირების გავლას.
2. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და მათ მიერ პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით საქართველოს პარლამენტის აპარატი მათთვის უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენის პირობებს.
3. სტაჟირება არის საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების სამდივნოები, დეპარტამენტები, მანდატურის სამსახური (შემდგომ – სამსახური), საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, კომიტეტების აპარატები, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის (შემდგომ – დროებითი კომისია) აპარატი) ამ წესით რეგულირებული, აუნაზღაურებელი საქმიანობა.

თავი II. სტაჟიორთა შერჩევა. სტაჟირების გავლის კომისია

მუხლი 2

1. საქართველოს პარლამენტის აპარატში სტაჟიორი მიიღება კონკურსის წესით.
2. სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.
3. სტაჟიორად მიიღება მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი სპეციალობა.
4. სტაჟირების კონკურსი ცხადდება პარლამენტის ვებგვერდზე ([www. parliament.ge](http://www.parliament.ge)). კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
 - ა) სტაჟირების კონკურსის ჩატარების ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ;
 - ბ) სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების რეგისტრაციის ადგილისა და დროის შესახებ;
 - გ) სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების შესახებ;
 - დ) სტაჟირების კონკურსზე გასაუბრების თემატიკის შესახებ.

5. სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის სახელზე (დანართი №1);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დახასიათება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან სამუშაო ადგილიდან;

დ) აპლიკაციის ფორმა (დანართი №2);

ე) დიპლომის ასლი ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი ცნობა;

ვ) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4).

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების წარმოსადგენად ეძლევა კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 დღის ვადა.

მუხლი 3

1. საქართველოს პარლამენტის აპარატში სტაჟირების გავლის ორგანიზების მიზნით იქმნება სტაჟირების გავლის კომისია (შემდგომ – კომისია).

2. კომისია შედგება თავმჯდომარის, მდივნისა და წევრებისაგან.

3. კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.

4. კომისიის მდივანს და კომისიის სხვა წევრებს ბრძანებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

6. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 4

1. სტაჟირების კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით. გასაუბრების თემატიკას განსაზღვრავს კომისია.

2. გასაუბრება ტარდება განცხადებების მიღების ვადის გასვლის დღიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

3. სტაჟირების გავლის მსურველი გასაუბრებას გადის კომისიის წინაშე.

4. სტაჟირების გავლის მსურველი გასაუბრებისას ფასდება დადებითად ან უარყოფითად.

5. გასაუბრების შედეგად კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სტაჟირების გავლის მსურველის დადებითად შეფასების შემთხვევაში – მისი სტაჟიორად მიღების და მისი საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურულ ერთეულში განაწილების თაობაზე;

ბ) სტაჟირების გავლის მსურველის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში – მის სტაჟიორად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

6. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სტაჟიორებს საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში ბრძანებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.

7. ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში შეიძლება დაინიშნოს არაუმეტეს 2 სტაჟიორისა.

თავი III. სტაჟირების გავლა. სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 5

საქართველოს პარლამენტის აპარატში სტაჟირების გავლის ვადაა 6 თვე.

მუხლი 5¹

საქართველოს პარლამენტის აპარატის ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების ორჯერ გავლა დაუშვებელია.

მუხლი 6 *(ძალაშია 2018 წლის 1 დეკემბრიდან)*

1. სტაჟირების გავლის ორგანიზებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის თანამშრომელი – სტაჟირების კოორდინატორი (შემდგომ – კოორდინატორი), ხოლო საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების გავლის პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი – მენტორი.

2. სტაჟირების დაწყებიდან კოორდინატორი უზრუნველყოფს სტაჟიორთა მიერ 5-კვირიანი სწავლების სასწავლო პროგრამის გავლას, გარდა ამ მუხლის 3¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტაჟიორები გადიან 20-კვირიან პრაქტიკას საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, გარდა ამ მუხლის 3¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3¹. სტაჟიორი, რომელსაც სტაჟირება გავლილი აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში, ამასთანავე, გავლილი აქვს 5-კვირიანი სწავლების სასწავლო პროგრამა, სტაჟირების პარლამენტის აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გავლისას, ნაცვლად 5-კვირიანი სწავლების სასწავლო პროგრამისა და 20-კვირიანი პრაქტიკისა, გაივლის 25-კვირიან პრაქტიკას.

3². სტაჟიორი, რომელსაც სტაჟირება გავლილი აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში, მაგრამ არა აქვს გავლილი 5-კვირიანი სწავლების სასწავლო პროგრამა, სტაჟირებას პარლამენტის აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გაივლის ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით.

4. პრაქტიკის პერიოდში კოორდინატორი უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებთან, პარლამენტის კომიტეტების, საპარლამენტო ფრაქციების, პარლამენტის საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეებთან, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებთან, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნებთან, პარლამენტის აპარატის დეპარტამენტებისა და სამსახურის

ხელმძღვანელებთან, აგრეთვე, სურვილისამებრ, პარლამენტის წევრებთან სტაჟიორთა შეხვედრების ორგანიზებას. ამ შეხვედრების ფორმატი ითვალისწინებს აქტუალურ თემებზე საუბარსა და დისკუსიას.

მუხლი 7

სტაჟიორთა სამუშაო კვირის ხანგრძლივობაა 5 დღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. სამუშაო დრო იწყება 10.00 საათზე და მთავრდება 18.00 საათზე. შესვენებაა 14.00 საათიდან 15.00 საათამდე.

მუხლი 8

1. სტაჟიორს უფლება აქვს: *(ძალაშია 2018 წლის 1 დეკემბრიდან)*

ა) მენტორის ნებართვით გაეცნოს მისთვის საჭირო სამსახურებრივ დოკუმენტაციას, ნორმატიულ აქტებსა და სხვა მასალებს, ისარგებლოს სათანადო საცნობარო და ანალიტიკური ინფორმაციით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;

ბ) მენტორის თანხმობით დაესწროს საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწვეულ სხდომებს, თათბირებსა და სხვა ღონისძიებებს, მონაწილეობა მიიღოს მათ ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

2. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) იხელმძღვანელოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულებით და საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით;

ა¹) გაიაროს სასწავლო პროგრამა;

ბ) დადგენილ ვადაში შეასრულოს მენტორის დავალება; *(ძალაშია 2018 წლის 1 დეკემბრიდან)*

გ) გაეცნოს საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროს, სათანადო ნორმატიულ აქტებს, მუშაობის სპეციფიკას, საკითხების მომზადებისა და დოკუმენტების შედგენის პრაქტიკას;

დ) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მუშაობაში, რაც გულისხმობს როგორც ამ ერთეულის თანამშრომელთა ტექნიკურ დახმარებას, ისე ინტელექტუალური სამუშაოს შესრულებას (მასალების თარგმნა, წერილების პროექტების მომზადება, დოკუმენტების იურიდიული მხარის მოწესრიგება, ნორმატიული აქტების მოძიება);

ე) შეისწავლოს საკანონმდებლო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე მიმდინარე მუშაობის თავისებურებები, რაც მოიცავს პროცესს კანონპროექტის ინიცირებიდან პარლამენტის მიერ საბოლოო რედაქციით მიღებამდე; გაეცნოს პარლამენტის სამემოდგომო და საგაზაფხულო სესიების კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმებს;

ვ) გაეცნოს საქართველოს პარლამენტის სტრუქტურას, მის აპარატს და აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულების სახით შემავალი დეპარტამენტების, სამსახურის, კომიტეტების აპარატების, აგრეთვე საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების, საპარლამენტო ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის საქმიანობას;

ზ) გაეცნოს პარლამენტის ბიუროს, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების სამდივნოების საქმიანობას;

თ) გაეცნოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობას;

ი) გაეცნოს საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგს; დაესწროს პარლამენტის პლენარულ სხდომებსა და კომიტეტების სხდომებს.

მუხლი 9

1. სტაჟირების გავლის პერიოდში საქართველოს პარლამენტის აპარატის თითოეული სტრუქტურული ერთეულის სტაჟიორები ერთობლივად ამუშავებენ ამ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე თემას, რის შემდეგაც ეწყობა მისი განხილვა. კომიტეტის/დროებითი კომისიის აპარატის სტაჟიორების მიერ დამუშავებული თემა განიხილება შესაბამისი კომიტეტის/დროებითი კომისიის იმიტირებულ სხდომაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თემის განხილვას ესწრებიან საქართველოს პარლამენტის აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეულის სტაჟიორები, მენტორები და კოორდინატორი. საუკეთესო თემა გამოვლინდება ფარული კენჭისყრით, რომელშიც მონაწილეობენ ყველა სტრუქტურული ერთეულის სტაჟიორები. *(ძალაშია 2018 წლის 1 დეკემბრიდან)*

თავი IV. მენტორის მოვალეობები სტაჟიორის მიმართ *(ძალაშია 2018 წლის 1 დეკემბრიდან)*

მუხლი 10

1. მენტორი სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისათვის.

2. მენტორი სტაჟიორს აძლევს დავალებებს, განუსაზღვრავს მათი შესრულების ვადებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

თავი V. სტაჟირების შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 11

1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტაჟიორის მიერ სტაჟირების პერიოდში 5 დღის განმავლობაში არასაკატიო მიზეზით საქართველოს პარლამენტის აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოუცხადებლობა;

ბ) სტაჟიორის მიერ დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

გ) სტაჟიორის მიერ ამ წესის მოთხოვნათა უხეში დარღვევა;

დ) სტაჟიორის მიერ სხვა დაწესებულებაში პრაქტიკის ან სტაჟირების გავლის ან სამსახურის დაწყების ფაქტის გამოვლენა, თუ ეს ხელს უშლის საქართველოს პარლამენტის აპარატში სტაჟირების გავლის პროცესს;

ე) სტაჟიორის პირადი ინიციატივა;

ვ) სტაჟირების ვადის გასვლა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს

პარლამენტის აპარატის უფროსი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მენტორის ან/და ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის უფროსის წარდგინების, ხოლო იმავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სტაჟიორის პირადი განცხადების საფუძველზე. (ძალაშია 2018 წლის 1 დეკემბრიდან)

თავი VI. სტაჟირების შეფასება (ძალაშია 2018 წლის 1 დეკემბრიდან)

მუხლი 12

1. სტაჟირების შეფასება შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- ა) I ეტაპი – 5-კვირიანი სწავლების შეფასება (ჯამური შეფასების 25%);
- ბ) II ეტაპი – 20-კვირიანი პრაქტიკის შეფასება (ჯამური შეფასების 50%);
- გ) III ეტაპი – დასკვნითი გამოცდა (ჯამური შეფასების 25%).

2. ჯამური შეფასების მაქსიმალური ქულაა 100:

- ა) სტაჟიორს, რომელიც დააგროვებს 90 ან მეტ ქულას, გადაეცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი „A“ კატეგორიის სერტიფიკატი;
- ბ) სტაჟიორს, რომელიც დააგროვებს 75-დან 89 ქულის ჩათვლით, გადაეცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი „B“ კატეგორიის სერტიფიკატი;
- გ) სტაჟიორს, რომელიც დააგროვებს 51-დან 74 ქულის ჩათვლით, გადაეცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი „C“ კატეგორიის სერტიფიკატი;
- დ) სტაჟიორს, რომელიც დააგროვებს 50 ან ნაკლებ ქულას, სტაჟირება გავლილად არ ჩაეთვლება და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი არ გადაეცემა.

მუხლი 12¹

1. I ეტაპის – 5-კვირიანი სწავლების შეფასების – მაქსიმალური ქულაა 25; გამოცდის ხანგრძლივობაა 90 წუთი.

2. 5-კვირიანი სწავლების სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტაჟიორმა უნდა ჩააბაროს გამოცდა – 100 შეკითხვისგან შემდგარი ტესტი. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 0,25 ქულით. სტაჟიორს ტესტი ჩაბარებულად ჩაეთვლება არანაკლებ 19 ქულის დაგროვების შემთხვევაში. თუ სტაჟიორი დააგროვებს 12,75-დან 19 ქულამდე, მას ერთხელ ეძლევა ტესტის გადაბარების უფლება. ტესტის გადაბარება ხდება მისი ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

3. თუ სტაჟიორი 19 ქულაზე ნაკლებს დააგროვებს, იგი სტაჟირებას ვეღარ გააგრძელებს.

მუხლი 12²

1. II ეტაპის – 20-კვირიანი პრაქტიკის შეფასების – მაქსიმალური ქულაა 50.

2. პრაქტიკის ყოველი 4 კვირის ბოლოს სტაჟიორმა უნდა წარადგინოს შესრულებული სამუშაოს და მომზადებული დავალებების ანგარიში. სტაჟიორის ანგარიშს უნდა ერთოდეს მისი მენტორის ანგარიში, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში სტაჟიორის გამოცხადების, გაცდენების (მათ შორის, საპატიო მიზეზით გაცდენის), დისციპლინის, სამუშაოებში მონაწილეობის ხარისხის, დავალებების შესრულების დროულობისა და ხარისხის შესახებ და სხვა. სტაჟიორის თითოეული ანგარიშის შეფასების მაქსიმალური ქულაა 10. სტაჟიორის ყველა (5) ანგარიშის შეფასებების ქულათა ჯამი იქნება II ეტაპის ჯამური შეფასების მაჩვენებელი.

3. ყოველი საანგარიშო პერიოდი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით, შესაბამისი ქულებით (თითოეული კრიტერიუმის შეფასების ერთეულია 0,5 ქულა):

ა) დისციპლინა (საქართველოს პარლამენტის აპარატის შინაგანაწესითა და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა) – 0-დან 1 ქულის ჩათვლით;

ბ) სამუშაოებში (ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში) აქტიური მონაწილეობა – 0-დან 2 ქულის ჩათვლით;

გ) სტაჟირების პროგრამით განსაზღვრული დავალებების დროული შესრულება – 0-დან 2 ქულის ჩათვლით;

დ) სტაჟირების პროგრამით განსაზღვრული დავალებების ხარისხიანი შესრულება – 0-დან 5 ქულის ჩათვლით.

მუხლი 12³

1. III ეტაპის – დასკვნითი გამოცდის – მაქსიმალური ქულაა 25; დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობაა 90 წუთი.

2. სტაჟიორი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან I და II ეტაპებზე ჯამურად დააგროვა არანაკლებ 35 ქულისა (თითოეულ ეტაპზე დაგროვებული ქულა დამრგვალდება). სტაჟიორი, რომელსაც 35 ქულაზე ნაკლები ექნება დაგროვებული, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება და მას სტაჟირება გავლილად არ ჩაეთვლება.

3. სტაჟიორმა უნდა ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა – 100 შეკითხვისგან შემდგარი ტესტი. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 0,25 ქულით. სტაჟიორს ტესტი ჩაბარებულად ჩაეთვლება არანაკლებ 16 ქულის დაგროვების შემთხვევაში. თუ სტაჟიორი დააგროვებს 12-დან 16 ქულამდე, მას ერთხელ ეძლევა ტესტის გადაბარების უფლება. ტესტის გადაბარება ხდება მისი ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. საბოლოო შედეგის გამოთვლისას დასკვნით გამოცდაზე დაგროვებული ქულა დამრგვალდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტაჟიორმა 16 ქულაზე მეტი დააგროვა.

მუხლი 12⁴

სტაჟიორს, რომელსაც სტაჟირება გავლილი აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში, ამასთანავე, მიღებული აქვს ამ წესით დადგენილი I, II და III ეტაპების შეფასებები, სტაჟირების პარლამენტის აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულში გავლისას უნარჩუნდება გავლილი სტაჟირების შეფასების I ეტაპზე მიღებული ქულა, ხოლო II და III ეტაპების შეფასებები მან უნდა მიიღოს ამ თავით დადგენილი წესით. I ეტაპზე მიღებული ქულის გაუმჯობესების მიზნით სტაჟიორს უფლება აქვს, გადააბაროს აღნიშნული ეტაპის გამოცდა. უფრო დაბალი ქულის მიღების შემთხვევაში მას უფლება არა აქვს, მოითხოვოს მაღალი ქულის შენარჩუნება.

თავი VII. დასკვნითი დებულება

მუხლი 13

ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.